ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29231233**
თარიღი:**03/05/2023**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩის მაცხოვრებლებმა, (N 19/29222721-29, 29.09.2022 წ.) რომლებიც ითხოვენ საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკითხი განსახილველად დაეწერა იურიდიულ საკითხთა კომისიას, სადაც საკითხის განხილვის პროცესში გაიმართა კონსულტაციები სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩის მცხოვრებ მოქალაქეებთან.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ დადგინდა, რომ სოფელ ღვანკითში, 1978 წლის 6 მარტს დაბადებული სერჟანტი ვალერი გოგნაძე ტრაგიკულად დაიღუპა 2008 წელს საქართველოში, რუსეთსა და საქართველოს შორის გამართულ საომარ მოქმედებებში და მისი დაღუპვიდან გასულია 15 წელი.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადასტურებს, რომ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, სერჟანტი ვალერი გოგნაძე არის საზოგადო მოღვაწე, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება საქართველოს წინაშე სამშობლოს დაცვის საქმეში და მიზანშეწონილად მიაჩნია სოფელ ღვანკითის პირველ ქუჩას მიენიჭოს ვალერი გოგნაძის სახელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,გეოგრაფიული ობიექტების სახელდების“ შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი“-ს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩის მაცხოვრებლების 2022 წლის 29 სექტემბრის N 19/29222721-29 განცხადების, სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩის მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის ამსახველი 2023 წლის 05 აპრილის სხდომის ოქმის, იურიდიულ საკითხთა კომისიის 2023 წლის 02 მაისის დასკვნის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის, საზოგადო მოღვაწის სერჟანტ-ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭება - მოცემული ცხრილით განსაზღვრული და ქუჩის გავრცელების X და Y კოორდინატების შესაბამისად:

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

x	y
333317.3	333909.1
4670859.6	4670347.3

მუხლი 2. განკარგულება ძალშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი